ხაშურის მოამბე

№22 (53) 13 ივნისი, ორშაბათი, 2016 წელი

ჩქაროსნული ავტომაგისტრალის შემადგენელი ნაწილი აგარა-ზემო ოსიაურის 12-კილომეტრიანი გზის 7-კილომეტრიანი მონაკვეთი გაიხსნა. ღონისძიებას საქართველოს პრემიერმინისტრი დაესწრო

სიტყვით გამოსვლისას გიორგი კვირიკაშვილმა ახალი სატრანსპორტო ქსელის მშენებლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა და მთავრობის სახელით მადლობა გადაუხადა მსოფლიო ბანკს და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს აღნიშნულ პროექტებში მონაწილეობისთვის. პრემიერ-მინისტრის თქმით, დღეს საქართველოს ბევრი ტურისტი სტუმრობს, რომლებიც შეძლებენ ისარგებლონ ჩქაროსნული მაგისტრალით.

“ძალიან მოხარული ვარ, რომ დღეს ჩვენ მორიგი მონაკვეთი უნდა გავხსნათ- ეს არის აგარა- ზემო ოსიაურის მონაკვეთის უდიდესი ნაწილი. ძალიან კარგია, რომ ეს ხდება დღეს, ვინაიდან დღეს არის ბევრი ტურისტი ჩამოსული საქართველოში და როგორც ჩვენი მოქალაქეები, ასევე ჩამოსული სტუმრები ისარგებლებენ ამ გზით.

პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა მთავრობის გეგმის შესახებ და რეფორმების ოთხპუნქტიანი გეგმის ფარგლებში ქვეყნის სივრცითი განვითარების მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებზე. მისი თქმით, სივრცითი განვითარების მოდელის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ახალი სატრანსპორტო ქსელის მშენებლობაა.

გიორგი კვირიკაშვილის განმარტებით, საქართველოს მთავრობა 2020 წლის ბოლოს უმთავრესი სატრანსპორტო არტერიების დასრულებას გეგმავს.

” ჩვენ ვგეგმავთ, რომ წელს გავხსნათ კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი მონაკვეთი, რიკოთის მონაკვეთი, ანუ ჩუმათელეთი-არგვეთას მონაკვეთი. უკვე დაწყებულია ამ პროექტზე ძალიან აქტიური მუშაობა და სავარაუდოდ უახლოეს პერიოდში დაიწყება უკვე რეალური მშენებლობითი სამუშაოები“. გიორგი კვირიკაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ მთავრობის მიერ დაგეგმილ პროექტებში აქტიურად ჩაერთვება კერძო სექტორი და საქართველო რეალურად შეძლებს შეასრულოს აბრეშუმის სარტყლის” შემადგენელი, ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყნის ფუნქცია.

პრემიერ-მინისტრმა გზის გახსნა ასევე მიულოცა ადგილობრივ მაცხოვრებლებს. მისი თქმით, ჩქაროსნული მაგისტრალი მნიშვნელოვან როლს ეკონომიკის განვითარებაში.

“მინდა ასევე მივულოცო ადგილობრივ მაცხოვრებლებს. 500-ზე მეტი ადამიანია ადგილობრივი დასაქმებული მარტო ამ მონაკვეთზე, რაც ძალიან

მნიშვნელოვანია, რომ ადამიანები საცხოვრებელი ადგილის მიტოვების გარეშე შოულობენ თავიანთ სარჩო-საბადებელს, თავიანთ ოჯახებს ინახავენ, ეს უმნიშვნელოვანესია ჩვენთვის. ყველაფერი ეს რა თქმა უნდა, იმისთვის კეთდება, რომ საგზაო არტერიების განვითარებასთან ერთად განვითარდეს ჩვენი ქვეყნის რეგიონები და ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო ფუნქცია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის. კიდევ ერთხელ გილოცავთ და მე ნამდვილად მჯერა, რომ ჩვენ, ყველანი ერთად ავაგუგუნებთ საქართველოს,”- აღნიშნა პრემიერმა.

აგარა-ზემო ოსიაურის მონაკვეთი ე.წ „აბრეშუმის სარტყელის“ შემადგენელი ნაწილია და ევროპა-აზიის გავლით, ჩინეთში სატრანზიტო მიმოსვლის მნიშვნელოვან კვანძს წარმოადგენს. აგარა-ზემო ოსიაურის 12 კილომეტრიანი მონაკვეთიდან გაიხსნა 7 კილომეტრი, დარჩენილ 5 კილომეტრზე კი სამუშაოები წლის ბოლოს დასრულდება. აგარა-ზემო ოსიაურის 12 კილომეტრიანი მონაკვეთის პროექტით, ევროპული სტანდარტების შესაბამისად შენდება 4 ზოლიანი ცემენტ-ბეტონის გზა, 2 სატრასნპორტო კვანძი, 2 პარალელური ხიდი და 2 გზაგამტარი. მონაკვეთის მშენებლობაზე დასაქმებულია 500-მდე ადამიანი.

გზის გახსნის ღონისძიებას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი და მსოფლიო ბანკის რეგიონალური დირექტორი სამხრეთ კავკასიაში მერსი ტემბონი დაესწრნენ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N47

2016 წლის 6 ივნისი, ხაშური

2016 წელს განსახორციელებელი ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი რელიგიური დანიშნულების ორგანიზაციების ხელშეწყობის, მათი შენობა-ნაგებობების მშენებლობის და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მუნიციპალური პროგრამა

პროგრამის მიღებით მოხდება რელიგიური დანიშნულების ორგანიზაციების ხელშეწყობა, აღნიშნული პროგრამა რამოდენიმე წელია ხორციელდება და აქვს დადებითი შედეგები, დასრულდა რამდენიმე რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია, რისი დასრულებაც წლების მანძილზე პრობლემას წარმოადგენდა, ასევე მიმდინარე წელს პროგრამით გათვალისწინებულია რეალიგიური დანიშნულების ორგანიზაციების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, ამავე კანონის მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს 2016 წელს განსახორციელებელი ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი რელიგიური დანიშნულების ორგანიზაციების ხელშეწყობის, მათი შენობა-ნაგებობების მშენებლობის და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მუნიციპალური პროგრამა.
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www. Khashuri: org.ge გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №15);

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სამეურვეო საბჭოების არჩევნები ჩატარდა

ისევე როგორც საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში, ხაშურის მუნიციპალიტეტში, 10 ივნისს სკოლის თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოს - სამეურვეო საბჭოს არჩევნები გაიმართა. სამეურვეო საბჭო სკოლის მმართველობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია, მის წევრებს მშობლები და პედაგოგები ირჩევენ. სამეურვეო საბჭო ირჩევს სკოლის დირექტორს, ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტსა და შინაგანაწესს, ითანხმებს სასკოლო-სასწავლო გეგმას. საბჭოს წევრები არიან სკოლის მასწავლებლები, მშობლები და საშუალო საფეხურის ერთი მოსწავლე.

სურათზე: არჩევნები სურამის III საჯარო სკოლაში.

სტიქიით დაზარალებულმა ახალი საცხოვრებელი მიიღო

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა-გიორგი გურასპაშვილმა სოფელ ახალშენში რამდენიმე დასრულებული პროექტი დაათვალიერა. მათ შორის, ახალშენის ხიდი და 2015 წლის 12-14 ნოემბერს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული, ეთერ ხარებაშვილის საცხოვრებელი სახლი, რომელიც ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით აშენდა. გამგებელი ,ასევე დაინტერესდა სოფელში, წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოების მიმდინარეობით. აღნიშნული პროექტი ივნისის თვეში დასრულდება და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის წყლით მომარაგების საკითხს.

შეხვედრა ფერმერ ქალთა ასოციაციასთან

8 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის მხარდაჭერით გაიმართა შეხვედრა ფერმერ ქალთა ასოციაციის წარმომადგენლებთან. შეხვედრას უძღვებოდა ასოციაციის თავჯდომარე ირინე ფხოველიშვილი. საუბრის დასაწყისშივე ქალბატონმა ირინემ პირადად გაიცნო დამსწრე ფერმერები და სოფლის მეურნეობაში ჩაბმული ქალბატონები და დეტალურად გაეცნო მათ საქმიანობასა და არსებულ პრობლემებს. თავის მხრივ, მანაც, ზედმიწევნით ისაუბრა ასოციიაციის აქტივებზე და ქალების აქტიურ ჩართულობაზე აგრარულ სექტორში.

ფერმერ ქალთა ასოციაცია დაფუძნდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით 2013 წლის 20 ივნისს. ის წარმოადგენს ფერმერი ქალების ნებაყოფლობით გაერთიანებას და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართ-

ველოს კონსტიტუციის შესაბამისად. ასოციაციის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ შექმნის დღიდან დაისახა კონკრეტული მიზნები წარმატების მისაღწევად, რომელიც გულისხმობს შემდეგს: ასოციაციის ინსტიტუციონალური გაძლიერებას, სოფლის მეურნეობის პროცესში აქტიური ჩართულობას, ფერმერ ქალთათვის განათლების მიღებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას და მათ დაინტერესებას აგრარულ სფეროში მიმდინარე საკითხებით.

ირინე ფხოველიშვილი, ფერმერ ქალთა ასოციააციის თავჯდომარე: ჩვენი ასოციაცია სამი წლის წინ ხუთმა ქალბატონმა ჩამოვაყალიბეთ კახეთის რაიონის ხუთი რეგიონიდან, დღესდღეობით კი, ჩვენი წევრების რაოდენობა 150 წევრს ითვლის. ამ დროის განმავლობაში ჩვენი საქმიანობით უდიდეს წარმატებას მივაღწიეთ. ყოველთვის ვთვლიდი, რომ ასოციაციის არსებობის ნებისმიერ ეტაპზე მნიშვნელოვანია ზუსტად იყოს განსაზღვრული ის ძირითადი ღირებულებები, რაც უზრუნველყოფს ასოციაციის მდგრად განვითარებას და მის აქტიურ როლს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, რაც მიიღწევა წევრების პროფესიული განათლების მიღებისა და მათი ჩართულობით მნიშვნელოვან ბიზნესს და საზოგადოებრივ ინიციატივებში. ძალიან კმაყოფილი ვარ დღევანდელი შეხვედრით და მოხარული ვარ ხაშურელი ქალბატონების საქმიანობისა და პრობლემების გაცნობით, ასოციაცია ყველანაირად შეცდება მათ პრობლემებს სწორი ფორმულირება მოუძებნოს და აღმოფხვრას ისინი.

ასოციაციის წარმომადგენლებმა ისაუბრეს მნიშვნელოვან როლზე სოფლის მეურნეობის გარკველი დარგების აღორძინებაში. ასოციაცია აქტიურად მუშაობს ენდემური ჯიშების გადარჩენასა და გამოყვანაში, მაგალითად მათ მოახერხეს გადაერჩინათ „ასლი" – კილიანი ხორბალი, რომელსაც 5000 წლიანი ისტორია აქვს და „შავთავა" – ქერის უძველესი ჯიში. მუშაობენ „უეკლო" მაყვლის პოპულარიზაციისათვისაც, რომლიც ამჟამადაც გურჯაანში 4 ჰექტარზეა გადაჭიმული და კარგ მოსავალსაც იძლევა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობაა სოფლად მცხოვრებ ქალთა დღის აღნიშვნის დაწესება, რომლის ძირითადი მიზანია შემოქმედ ქალთა აღმოჩენა. ეს დღე – „ლელიანი" უკვე სახალხო ზეიმად იქცა. გამოფენა-გაყიდვაზე ხდება ქალბატონების მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთების და სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის გამოტანა. ეს დღე, რა თქმა უნდა, წინგადადგმული ნაბიჯია სოფლის მეურნობაში ქალთა როლის გაძლიერებისათვის.

ირინე ფხოველიშვილმა თითოეული ქალბატონისაგან მოისმინა პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის მათი საქმიანობის უკეთ წარმართვას. მათ დაასახელეს შემდეგი საკითხები: სოფლებში გასარწყავების სისტემის და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სოფლების ბოლომდე გაზიფიცირება, შიგა საპლანტაციო გზების მოწესრიგება. მიწების არაშესაბამისი გადასახადები, პარაზიტების საწინააღმდეგო პრეპარატებით სათანადო მომარაგება და სასურველი დაზღვევა გვალვაზე. ქალბატონმა ირინემ დახმარება აღუთქვა მათ და შესთავაზა ასოციაციაში გაწევრიანება, რომელიც სთავაზობს მათი უფლებების დაცვას ყველა დონეზე, დარგობრივ კონსულტაციებს, პირველად იურიდიულ კონსულტაციებს, ადვოკატირებას ადგილობრივ და სამთავრობო სტრუქტურებთან და საჭიროებების გათვალისწინებით საინფორმაციო მასალის მომზადებას და უფასოდ მიწოდებას.

თ. ახალკაცი

ღვინის ფესტივალზე ჩვენმა მეღვინეებმა სერთიფიკატები მიიღეს

ამ დღეებში, გორის გამგეობისა და გორისა და ატენის ეპარქიის ერთობლივი ინიციატივით, სოფელ ატენში ღვინის ფესტივალი გაიმართა. ფესტივალის ცენტრი ორბელიანთა საგვარეულო მარანი იყო, სადაც შიდა ქართლის მეღვინეებს საკუთარი პროდუქცია ჰქონდათ წარმოდგენილი. ფესტივალში უცხოელებიც მონაწილეობდნენ და ცნობილი სომალიები აფასებდნენ ღვინის ღირსებას. ფესტივალზე საკუთარი პროდუქცია ჩვენი მუნიციპალიტეტის სამმა ცნობილმა მეღვინემ – გიზო ცუცქირიძემ (ძელშავი, ქვიშხურა, ჩინებული), გიორგი პაპუაშვილმა (თავკვერი, გორული მწვანე) და პაატა ლალუაშვილმა (გორული მწვანე) წარადგინეს. სომალიების საერთო შეფასებით მათმა ღვინოებმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს და სამივეს სერთიფიკატები გადაეცათ.

ჩვენი მეღვინეების ფესტივალზე წარდგენა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურმა უზრუნველყო.

აღსანიშნავია, რომ ფესტივალი წელს პირველად გაიმართა და ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, იგი ყოველწლიური გახდება. ეს კი მართლაც საუკეთესო საშუალება იქნება ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და მეღვინეების პროდუქციის შემდგომი რეალიზაციისათვის.

ქვიშხეთელი ბარიტონი მსოფლიოს სცენების დასაპყრობად ემზადება

პაატა ბურჭულაძესთან ერთად

ჩემი რესპოდენტის მოღვაწეობის შესახებ ერთ-ერთი სოციალური ქსელიდან გავიგე. დავურეკე, შევთანხმდით და შევხვდით კიდეც. ლევან ტაბატაძე ქვიშხეთში დაიბადა, მისმა ვოკალურმა მონაცემებმა და ადამიანებმა, რომლებმაც განსაზღვრეს სამომავლოდ მისი ბედი, ოპერამდე მიიყვანა. ადვილი არ ყოფილა, იშრომა, შრომობს, აჯობა და დღესაც ბრძოლაშია საკუთარ თავთან, რადგან პასუხისმგებლობები აქვს, სიყვარული აქვს ოჯახისა და პედაგოგების მიმართ-სიყვარული აქვს საქმის მიმართ, რომელიც აირჩია, დაიახლოვა და სულსა და გონებაში დაუთმო ადგილი. როდესაც საუბარი დავიწყეთ, უკვე კარგად ჩანდა 25 წლის ბარიტონის შინაგანი ხასიათი-მტკიცე, მებრძოლი, რომლის თვალებიც ზუსტად ჭვრეტს მანძილს, სადაც მისი მომავლის გზა ჩანს. ფანდურით დაიწყო, რომელიც ახლა დასაწყისის სიმბოლოა. არც უფიქრია საოპერო მომღერლობაზე, ყველაფერი შემთხვევით მოხდა. ყველგან უფლის ხელს და ნებას ხედავს. საქართველოში უკვე შემდგარ ბარიტონს, რომელსაც თავისი ვოკალური შესაძლებლობის მიუხედავად, ზომიერი ამბიცია აქვს, გზა ევროპისაკენ უდევს, სადაც მისი მომავალი უნდა შედგეს და გამოიძერწოს-ევროპამ იცის ნიჭის დაფასება-მეტ შესაძლებლობას იძლევა განვითარების, წინსვლისათვის. როგორც ვთქვით, ეს მომავალია, რომელზეც ლევანი ფიქრობს, შრომობს და მთელ თავის ადამიანურ და პროფესიულ რესურსს დებს. რთულია თავი დაიმკვიდრო, რთულია შენი სახელი ულერდეს, ბუნებით მომღერალ ერში, ტკივილსა და წუხილშიც გულით სიმღერა რომ დააქვს, ლევანი ამის მაგალითია:

–ჩემს ოჯახში ყოველ დღესასწაულზე ან ოჯახურ შეკრებაზე ყოველთვის იყო მუსიკა, სიმღერა. პაპაჩემი აკორდეონზე უკრავდა, გლეხი კაცი იყო, ღიღინით მიდიოდა და მოდიოდა ბაღში. ბებიაც მღეროდა, აუდიო კასეტაზე დღესაც ვინახავ მათი სიმღერის ჩანაწერს. მამასაც ჰქონდა თავისი გატაცებები, სახლში დასარტყამი ინსტრუმენტები ჰქონდა საკუთარი ხელით აწყობილი, მუსიკის დიდი მოყვარული იყო. თუმცა, ეს ყველაფერი მხოლოდ ოჯახურ გარემოში ხდებოდა და ამ საქმით სერიოზულად არავინ დაინტერესებულა. მე 5-6 წლის ვიყავი, როდესაც ფანდურის წრეზე შემიყვანეს ქვიშხეთში ბატონ მურად ღონღაძესთან. დაახლოებით 3-4 წელი ვიარე, ფესტივალებზე დავდიოდით. ძალიან კარგად მახსენდება ეს პერიოდი, რადგან აქ ვეზიარე პირველად მუსიკას. შემდეგ ფორტეპიანოზე გავაგრძელე თინა გომარელთან, დედის დაძალება და სურვილი უფრო დიდი იყო ამ შემთხვევაში, ვიდრე ჩემი. მერე იყო გია ბოლოკაძის სტუდია, სადაც ვსწავლობდით სასცენო მოძრაობებს, ცეკვას და საესტრადო სიმღერებს. გამოვდიოდით დელფიადაზე შიდა ქართლის მასშტაბით, საკმაოდ წარმატებული გამოსვლები გვქონდა, რამდენიმე ჯილდოც მაქვს აღებული კონკურსებზე. ეს ყველაფერი გარდატეხის ასაკამდე გრძელდებოდა.

„რიგოლეტო – ფინალური სცენა

- როგორ მოვიდა შენთან კლასიკური მუსიკის სიყვარული?

–16 წლის ასაკში ვეღარ ვმღეროდი, ვაპირებდი კიდეც თავი დამენებებინა სიმღერისათვის, მაგრამ ბიძაჩემმა, რომელიც ყველაზე დიდი გულშემატკივარია ჩემი, ყველაფერი გააკეთა ჩემი წარმატებისათვის. დაუკავშირდა ქალბატონ ნათელა კაციტაძეს (მე ვსაუბრობ იმ ადამიანებზე, რომლებმაც მიმართულება მომცეს და ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე განსაზღვრეს ჩემი ბედი უფალთან ერთად). გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში ასწავლიდა მაშინ ქალბატონი ნათელა, თბილისიდან დადიოდა, ვოკალის სპეციალისტი იყო. როდესაც მომისმინა, მოვეწონე, თუმცა, ეს ყველაფერი მე არ მომწონდა მაშინ. ძალიან ენერგიული ქალი იყო, შრომისმოყვარე, სხვა კუთხით დამანახა ეს ყველაფერი, დამაინტერესა და 3 წლის განმავლობაში ვსწავლობდი გორში. ძალიან ბევრი კარგი კონცერტი ტარდებოდა, დიდი გამოცდილება მომცა ამ პერიოდმა.

- კონსერვატორიამდე როგორ მიხვედი?

–სოფელში ვიყავი იმ პერიოდში, ავტოკატასტროფაში მოვყევი, მსუბუქი დაზიანებებით, სახლში ვაგრძელებდი მკურნალობას, წოლითი რეჟიმი მქონდა. ოჯახის ახლობელი იყო სტუმრად, როდესაც გაიგო რომ ვმღეროდი, მითხრა, რომ ჰყავდა ნაცობი საოპერო მომღერალი მამუკა ლომიძე, დაურეკა და სთხოვა მოესმინა ჩემთვის. მამუკა მაშინ უკვე ცნობილი მომღერალი იყო, ავსტრიაში, საფრანგეთში და იტალიაში მოღვაწეობდა. დღემდე მადლობელი ვარ მისი, საშინელი გრაფიკის მიუხედავად, გამონახა დრო, მომისმინა და თავის ვოკალის პედაგოგთან თენგიზ მუშკუდიანთან გამიშვა კონსერვატორიაში. ბატონმა თენგიზმა მომისმინა და მითხრა, რომ კარგი მომავალი მქონდა და სრულიად უსასყიდლოდ მომამზადებდა მისაღები გამოცდებითვის, მოგვიანებით, უკვე სტუდენტობის პერიოდში, მან თავისი ბინაც შემომთავაზა, რადგან საოპერო მომღერალს განსაკუთრებული ხელშეწყობა და საცხოვრებელი პირობები სჭირდება. მამასავით ზრუნავდა ჩემზე ადამიანი, რომელსაც საოპერო სამყაროში დღემდე ბევრი მომღერალი მადლობს გაწეული უანგარო დახმარებისათვის.

გამოცდებამდე 6 თვე იყო დარჩენილი, ჩემ ოჯახს არ ჰქონდა იმხელა ფინანსური შესაძლებლობა, ჩემი კონსერვატორიაში სწავლა უზრუნველეყო იმ შემთხვევაში, თუ ფასიან სექტორზე მოვხვდებოდი. მაშინ მივხვდი, რომ არ მქონდა უფლება ჩემი მშობლების და იმ ადამიანების იმედები არ გამემართლებინა, რომლებსაც ჩემი შესაძლებლობების სჯეროდათ. 6 თვის განმავლობაში საშინელი რეჟიმი მქონდა, თბილისში სოლფეჯიოს გაკვეთილები, 4 ნაწარმოები ბატონ თენგიზთან. დილის 5 საათზე ვდგებოდი, მოვყვებოდი მატარებელს ხაშურში, გზაში ვმეცადინეობდი სხვა საგნებში. ამ ყველაფერმა ის შედეგი მოიტანა, რომ კონსერვატორიაში ჩავირიცხე.

- ესაა გზა, რომელმაც ოპერამდე მიგიყვანა...

–ოპერის მომღერლობა ძალიან დიდ შრომასთანაა დაკავშირებული. სულ მობილიზებული ხარ, გამუდმებით მუშაობ საკუთარ თავზე, ბევრი რამის დათმობა გიწევს. ხშირად ღამის 12 საათზე მიწევს სახლში მისვლა. მაგრამ ეს არის საქმე, რომლის კეთებაც გამსაკუთრებულ სიამოვნებას მანიჭებს. ამჟამად ოპერაში ვმუშაობ გუნდის მსახიობად. პარალელურად, საოპერო მომზადების კათედრაზე ვარ-საოპერო სტუდია მომღერლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მაგისტრატურის პირველ კურსს ვასრულებ უკვე. ვიმღერე სპექტაკლები ვერდის "რიგოლეტო", პუჩინის "ბოჰემა", დასრულებული, კოსტიუმირებული, მაღალი დონის სპექტაკლები. თითქმის ყველა სეზონზე, ყველა სპექტაკლში ვარ დაკავებული. ერთ-ერთი ყველაზე დიდი სირთულის და სასურველი პარტიაა ბარიტონისთვის ვერდის "რიგოლეტო", რამაც მსმენელის დიდი მოწონება და ოვაცია დაიმსახურა. მანამდე, III კურსზე, ფალიაშვილის "დაისში" კიაზოს პარტია შევასრულე, სადაც ჩემი დებიუტი შედგა. პუჩინის "ბოჰემაშიც" 3 სპექტაკლი ვიმღერე.

- ცნობილ საოპერო მომღერლებთან თუ გიმუშავია?

–როდესაც ვსწავლობდი ბაკალავრიატში, პაატა ბურჭულაძის სტიპენდიას ვიღებდი. მქონდა მასთან შეხვედრა, მომისმინა, არ მინდა მომავალზე ვილაპარაკო, თუმცა, არსებობს გეგმები, რომელზეც ვისაუბრეთ. როდესაც ოპერის თეატრი გაიხსნა და "აბესალომ და ეთერის" პრემიერები იყო, ბევრ ცნობილ საოპერო მომღერლებთან მიწევდა ურთიერთობა, თამარ ივერთან, ლადო ათანელთან და ბევრ სხვასთან, მათთან ურთიერთობა დიდი ფუფუნებაა, თავისი საქმის პროფესიონალები არიან. ყველაფრის სწავლა შეიძლება, მთავარი მონდომება და სურვილია. ადამიანი მთელი ცხოვრება მოსწავლეა. ერთი ფანდური მაქვს სახლში, როცა დავიწყე, იმდროინდელი. მახსოვს, ეს ფანდური ჩემმა ოჯახმა სამთვიანი დანაზოგით მიყიდეს. როდესაც ვუყურებ იმ ფანდურს, ვიხსენებ საიდან დავიწყე, საიდან მოვდივარ. ესაა სტიმული ჩემთვის, ერთგვარი პასუხისმგებლობა მშობლების და საკუთარი თავის მიმართ.

თენგიზ მუშკუდიანთან ერთად

- სად ხედავ შენ თავს? არის ადგილი ან წერტილი, სადაც მიხვალ და გაჩერდები?

–ამ ეტაპზე გერმანულს და საოპერო პარტიებს ვსწავლობ. ვცდილობ, მაქსიმალურად ბევრი პარტია ვისწავლო. ვმუშაობ რეჟისორთან, დირიჟორთან. მინდა, სამომავლოდ ევროპას დავუკავშირო ჩემი მომავალი და ამ ეტაპზე ამისათვის ყველაზე საუკეთესო გარემო და პირობები გერმანიაშია. მიუხედავად იმ დიდი სიყვარულისა, რასაც პირველ რიგში ჩემი რაიონის და შემდეგ ჩემი ქვეყნის წინაშე ვგრძნობ, ვერ ვხედავ იმ განვითარებას სხვადასხვა მიზეზების გამო, რომელიც შესაძლებლობას მომცემს მომავალზე ორიენტირებული კარიერა შევქმნა. ადამიანი ყოველთვის საუკეთესოსკენ მიდის თავისი ბუნებით. მიუხედავად იმისა, რომ ახლა ვიწყებ და კარიერაში ჯერ სერიოზული წარმატება არ მქონია, ვერ ვიტყვი, რომ არის რაღაც ინსტანცია, სადაც მივალ და გავჩერ-

(დასასრული IV გვერდზე)

ოპერა „დაისი“ – კიაზოს პარტია

(დასასრული)

ქვიშხეთელი ბარიტონი მსოფლიოს სცენების დასაპყრობად ემზადება

დები, სადაც შევაჩერებ განვითარებას. თუმცა, პირველი სამიზნე ამ ეტაპზე, გერმანიაა. არ შემიძლია დიდი მადლიერება არ გამოვხატო იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც ჩემს პროფესიულ განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს, ესაა, პირველ რიგში, ბატონი თენგიზ მუშკუდიანი, დირიჟორები გოგი ჭიჭინაძე, რეზო ტაკიძე, საოპერო სტუდიის კათედრის მომღერლები და სხვები. ყველაფრის საწყისი რაც ადამიანს გააჩნია, ოჯახია. ყველაზე დიდი მადლობა ჩემს მშობლებს მინდა გადავუხადო, ყოველთვის ჩემს გვერდით არიან და იმაზე მეტი მომცეს, რისი მოცემაც რეალურად შეეძლოთ.

- ხაშურში თუ გყავს გულშემატკივები?

–ჩემი გულშემატკივრები ყველა ის ადამიანია, ვისთანაც რაიმე ტიპის ურთიერთობა მქონია. ერთ-ერთი ასეთი ადამიანი გია ბოლოკაძეა, რომელიც მირეკავს და მეპატიჟება კონცერტებზე. ამაყობს ყველა სურამელი და მათ შორის მარიამიც.

მან ფილმში აჩვენა, როგორ იწყება სამშობლოს სიყვარული მისი უბნიდან, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ იქ ებრაელები აღარ ცხოვრობენ, მაინც ებრაელთა უბანი ჰქვია.

მარიამის ფილმმა გაიმარჯვა ძალიან რთულ კონკურსში. გამარჯვებული, კონკურსანტებთან ერთად, პრეზენტაციით წარსდგა თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტში კონკურსის ჟიურის წინაშე, სადაც მან კიდევ ერთხელ სიამაყით აღნიშნა, რომ ქართველი ებრაელი ერთადერთია მსოფლიოში, რომელიც ამბობს, რომ ის ქართველიცაა, ხოლო სურამელი ებრაელი აუცილებლად იტყვის, თან სიამაყით, რომ ის სურამელი ებრაელია.

ისაუბრა იმაზე, რომ ებრაელთა უბნიდან წამოსულ ტურისტს, როგორი სიამაყით დაათვალიერებინებს სურამის ციხეს, რომელიც საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ილუსტრაცია და სურამელთა ერთგვარი სავიზიტო ბარათიცაა. მოუყვება ისტორიას სურამზე, განვითარებული ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს ქალაქზე; სურამელთა საგვარეულოზე; აბრეშუმის გზაზე; ტყის მასივზე, რომელიც სურამს გარს აკრავს და რომლის შემოქმედიც დიდი სურამელი მამულიშვილი მიხეილ მურვანიშვილია; უნიკალურ ჰაერზე; ეკლესია-მონასტრებზე ამ პატარა დაბაში ასე მრავლად რომაა და ა.შ. და ა.შ.

მაგრამ მაინც მარიამის აზრით, სურამში ჩამოსული ტურისტი, პირველ რიგში, იმ ძეგლს ნახავს, რომელსაც არ აქვს საწყისი და არ ექნება დასასრული, ნახავს ძეგლს, რომელიც ყველაზე დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, ვცდილობ, ჩამოვიდე და ჩემ რაიონშიც ვიმღერო. ეს ძალიან სასიხარულო და მნიშვნელოვანია ჩემთვის.

- ახლა რითი ხარ დაკავებული?

–ამ ეტაპზე საოპერო სტუდიაში არის საგამოცდო პერიოდი. ერთ-ერთ სტუდენტს ვეხმარები, ვერდის ოპერა "ტრავიატაში" ჟერნუნის პარტიას ვასრულებ. უდიდესი და ურთულესი დუეტია. ეს ყველაფერი ორკესტრთან ერთად მიმდინარეობს.

თავის სპექტაკლზე დამპატიჟა, მიხსნიდა ოპერებიდან სიუჟეტებს, სულ ცოტა მონდომება და შეგიყვარდებაო. მე ის მახარებდა, შესაძლოა ის პირველი ჟურნალისტი ვიყავი, რომელმაც პირველმა ამცნო საზოგადოებას იმ მსოფლიო საოპერო ვარსკვლავის შესახებ, რომელიც ქვიშხეთში დაიბადა და ახლა, ჩემს თვალწინ გაიბრწყინა.

თ. ჯავახიშვილი

ჩემი სამშობლო ჩემი უბნიდან იწყება

ორიოდე თვის წინ, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა გამოაცხადა კონკურსი „სამშობლო ჩემი უბნიდან იწყება“ ჟურნალისტიკისა და ტურიზმის მიმართულებით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების

საშუალო საფეხურის მოსწავლეებს.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის მეშვეობით, როდესაც კონკურსის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა ჩვენთვის, მასში დიდი სიამოვნებით ჩაება ჩემი სადამრიგებლო კლასის მოსწავლე მარიამ მეტრეველი.

ტურიზმით დაინტერესებულ კონკურსანტებს უნდა გადაეღოთ 8-10 წუთიანი ფილმი, რომელიც ფასდებოდა პრეზენტაციით, პრეზენტაციის თანმხლები ტექსტით, ვიზუალური მხარით.

მარიამმა თანაკლასელების დახმარებით კონკურსის ფარგლებში, გადაიღო ფილმი სურამელ ებრაელთა და ქართველთა ურთიერთობებზე, იმ ურთიერთობებზე, რაზეც ძალიან

საგვარეულოზე; აბრეშუმის გზაზე; ტყის მასივზე, რომელიც სურამს გარს აკრავს და რომლის შემოქმედიც დიდი სურამელი მამულიშვილი მიხეილ მურვანიშვილია; უნიკალურ ჰაერზე; ეკლესია-მონასტრებზე ამ პატარა დაბაში ასე მრავლად რომაა და ა.შ. და ა.შ.

მაგრამ მაინც მარიამის აზრით, სურამში ჩამოსული ტურისტი, პირველ რიგში, იმ ძეგლს ნახავს, რომელსაც არ აქვს საწყისი და არ ექნება დასასრული, ნახავს ძეგლს, რომელიც ყველაზე ჭკვიანმა არქიტექტორმა ბუნებამ შექმნა. ამ არამატერიალურ ძეგლს, შეუძლია სამყაროში ომების დასრულება და ეს ძეგლი მისი უბანია, უბანი, საიდანაც მისი სამშობლო იწყება და ამ უბანს დღესაც (მიუხედავად იმისა, რომ იქ ქართველები ცხოვრობენ) ებრაელთა უბანი ჰქვია.

ძალიან მიხარია, რომ მარიამს შრომა დაუფასდა. კონკურსის ჟიურიმ იგი სხვა კონკურსანტებთან ერთად დააჯილდოვა ფასიანი საჩუქრებით.

ეს დღე მის ცხოვრებაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

ნ. გოგოლაძე,
სურამის III საჯარო სკოლის პედაგოგი

დაიწყო პატარა მდინარეების კალაპოტების წმენდის სამუშაოები

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში, მდინარეების კალაპოტების წმენდის სამუშაოები დაიწყო. ამჟამად, სოფელ ქემფერში, მდინარე ტილიანას კალაპოტის წმენდის სამუშაოები მიმდინარეობს. უხვი ნალექის დროს, მდინარის კალაპოტიდან წყალი გადმოდიოდა,

იტბორებოდა ადგილობრივი მოსახლეობა და საკარმიდამო ნაკვეთები. ტილიანას კალაპოტის გაწმენდა კი, დატბორვის საფრთხის რისკებს შეამცირებს.

სამუშაოებს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებით, შპს „ალიანსი+2007“ ახორციელებს.

აგარისა და ჯორჯაძის ქუჩები მოასფალტდება

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებით, ხაშურში აგარის და ჯორჯაძის ქუჩების მონაკვეთების მოასფალტების სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოები, რომლებსაც შპს „გეკა“ ასრულებს, 2016 წლის სექტემბრის ბოლოსთვის დასრულდება.

რუსუდან დოფიძე - ოქსფორდის საზაფხულო სკოლის მოსწავლე

ბოლო პერიოდია, რაც ჩვენი რაიონის ახალგაზრდები მიღწეული წარმატებებით გვანებივრებენ, ჩვენც, ჩვენის მხრივ, არ ვიზარებთ მათი ჩინებული მიღწევების თქვენთან გაზიარებას. ხაშურის რედაქცია ნომერ მე-8-ე საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეს **რუსუდან დოფიძეს** ესტუმრა, რომელმაც სამოქალაქო განათლების ოლიმპიადაში გაიმარჯვა და ოქსფორდის საზაფხულო სკოლაში ისწავლის. რუსუდანმა დაგეგმილ ბრიტანულ მოგზაურობაზე სიამოვნებით გვიამბო.

- რუსუდან, პირველ რიგში, გილოცავ ამ წარმატებას და მოგვიყევი როგორ მოიპოვე ეს გამარჯვება?

– დიდი მადლობა. უკვე მეორე წელია არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე" ატარებს სამოქალაქო განათლების ოლიმპიადას საქართველოს სკოლების IX-XII კლასის მოსწავლეებისათვის. მის შესახებ სკოლაში შევიტყვე და გადავწყვიტე, მიმედო მონაწილეობა. ოლიმპიადა სამ ტურად ჩატარდა. პირველი ეტაპი ჩემს სკოლაში იყო და ელექტრონულად ჩავაბარე ტესტირება. შემდგომ ეტაპზე კი გორში გავიარე ტესტირება. მესამე ეტაპი იყოფოდა ორ საფეხურად. პირველი იყო ესეს დაწერა და შემდგომ ამ ესეს პრეზენტაცია.

-ტესტირება სამოქალაქო განათლების კუთხით გქონდა?

– დიახ, ძირითადად სამოქალაქო განათლების კუთხით იყო შეკითხვები დასმული. ტესტირების წარმატებით დაძლევაში დიდად დამეხმარა ზოგადი განათლება. ისტორიის, ქართული ლიტერატურის და გეოგრაფიის საფუძვლიანი ცოდნა. ადამიანის პიროვნულ თავისუფლებაზე რაც კი ოდესმე წამიკითხავს, ყველაფერი გამომადგა. რაც შეეხება ესეს, მოცემული იყო 6 ძირითადი წყარო, რომლისგანაც უნდა შეგვედგინა ესე და გვეპოვა მისი ძირითადი აზრი. მე დავწერე ესე შემდეგი სათაურით: „განათლება - დემოკრატიის მასაზრდოებელი და სიძულვილის მტერი". უკვე დასკვნით ეტაპზე გავაკეთე პრეზენტაცია იგივე სათაურით, სადაც დეტალურად განვიხილე ესეში დასმული ძირითადი საკითხები დემოკრატიასა და განათლებაზე. ვფიქრობ, ეს ეტაპი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც მომიწია ჩემი ესესათვის კრიტიკული თვალით შემეხედა და გამომესწორებინა გარკვეული საგულისხმო ხარვეზები. დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდე ჩემ თავს და გამოვიმუშავე მთელი რიგი უნარჩვევები: ზეპირი მეტყველება, არგუმენტირებული მსჯელობა, კრიტიკული აზროვნების უნარი და დასმულ კითხვებზე არგუმენტირებული პასუხი. ცნობიერება ამიმაღლდა იმ კუთხით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანის დემოკრატიული და სამოქალაქო ღირებულებების პატივისცემა და ბოლომდე გათავისება.

- რამდენი ბავშვი მონაწილეობდა ჩვენი რაიონიდან?

– დაახლოებით 30-მდე ბავშვი იღებდა მონაწილეობას. დასკვნით ეტაპზე სულ სამი ბავშვი გავედით, ერთი ჩემი კლასელი და მეორე სხვა სკოლის მოსწავლე, თუმცა გამარჯვება მე მხვდა წილად. ჩვენი მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ მე ვარ, სამი ზუგდიდიდან, და ერთი კახეთიდან, დანარჩენი მოსწავლეები თბილისის წარმომადგენლები არიან.

-როდის მიემგზავრები ოქსფორდში?

– კონკრეტული თარიღი გადაწყვეტილი არ არის. წასვლა მიწევს მეთორმეტე კლასელებთან ერთად, გამომდინარე აქედან, როდესაც ისინი ეროვნულ გამოცდებს ჩააბარებენ, მაშინ გავემგზავრებით, დაახლოებით, აგვისტოს თვეში.

-როგორც ვიცი, საზაფხულო სკოლაში უნდა ისწავლო?

– დიახ, სამი კვირის განმავლობაში ოქსფორდის საზაფხულო სკოლაში გავივლი ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებს. მანმადე კი საჭირო იყო ენის ფლობის დონის განსაზღვრა, სკოლაში გავიარე ტესტირება და პედაგოგმა შეფასებაში ზედა ზღვარი ჩამიწერა.

- როგორ ემზადები ამ მოგზაურობისათვის და შენი აზრით, რას მოგცემს ოქსფორდი სამომავლოდ?

– პირველ რიგში, უამრავი საბუთი მაქვს გასაკეთებელი. პასპორტი გავაკეთე და ვაგროვებ გარკვეულ ცნობებს. ვაპირებ გასული წლის გამაჯვებულებთან დაკონტაქტებას და მათგან რჩევების მიღებას. ვფიქრობ, ეს იქნება უდიდესი გამოცდილება ჩემთვის, რადგან პირველი გასვლაა საქართველოს ფარგლებს გარეთ. გავიცნობ უამრავ წარმატებულ და ნიჭიერ ბავშვს და, რა თქმა უნდა, გავიღრმავებ ინგლისური ენის ცოდნის დონეს ოქსფორდში, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო ცენტრია. განსაკუთრებულად შინაგანად ვემზადები, რადგანაც ძალიან მოულოდნელი იყო ეს გამარჯვება ჩემთვის.

თ. ახალკაცი

გელა ჩარკვიანი - სტუმრად ხაშურის ბიბლიოთეკაში

3 მაისს ხაშურის ცენტრალურ ბიბლიოთეკას გელა ჩარკვიანი სტუმრობდა. ქართველი მკითხველი კარგად იცნობს მის პირველ წიგნს "ნაგერალა",რომელსაც დიდი რეზონანსი მოყვა. ამჯერად, ხაშურის ლიტერატურის მოყვარულ საზოგადოებას გამომცემლობა "არტანუჯის" და"ინტელექტის" ხელმძღვანელის ზვიად კვარაცხელიას დამსახურებით (რომელიც ჩვენი ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი და გულშემატკივარია) მიეცა საშუალება, გელა ჩარკვიანის ავტოგრაფიული წიგნის "ნაცნობ ქიმერათა ფერხული"-ის შესახებ, თავად ავტორისგან მოესმინათ. ეს იყო წიგნის ერთგვარი წარდგენა მკითხველისადმი . წიგნში მოცემულია უახლესი ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური დეტალები,რომლის ცოდნაც ჩვეულებრივი მოქალაქისათვის ხელმიუწვდომელია და მოიცავს 1992-2003 წლებს. ცეკას პირველი მდივნის ოჯახში დაბადებული "კომუნისტი პრინცი", როგორც მას მოიხსენიებდნენ, ხმამაღლა საუბრობს მაშინდელი მოხელეების ცხოვრების წესზე, მისი აღზრდის პრინციპებზე,ცეკას მდივანზე,უბრალოდ მამაზე და დედაზე. ჩვეული იუმორით და სარკაზმით გაიხსენა ბავშვობის მტკივნეული მომენტები,რომლებმაც შემდგომ მის ცხოვრებაზე, ცნობიერებასა და ყოფიერებაზე იქონია გავლენა. ბატონმა გელამ ედუარდ შევარდნაძეზეც ისაუბრა, როგორც ევროპულად მოაზროვნე პოლიტიკოსზე, მისი შეცდომებითა და დიპლომატიური ხასიათით. ისაუბრა ჯაზზე, დიპლომატიურ სამსახურზე, პირად ცხოვრებასა და ტრაგიკულ მომენტებზე-მისი მეუღლის და შვილის, ირაკლის გარდაცვალებაზე. ნანა იყო ქალი-ასე დაახასიათა მეუღლე, რომელთან ერთადაც ცხოვრების შეგნებული ნაწილი გაატარა, რომელთანაც იმეგობრა-მის გარდაცვალებას ყველაზე დიდ ტრაგედიად თვლის ცხოვრებაში-მის მეუღლესაც, როგორც სხვა დანარჩენს დიდი ადგილი უკავია ამ წიგნში. ყველა მოვლენა, პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელმაც შეცვალა ქვეყნის ცხოვრება,ან გავლენა იქონია, უშუალოდ მისი მონაწილეობითა და დასწრებით ხდებოდა, თარიღები და ფაქტები დროში ავთენტურია და უტყუარი, რაც აორმაგებს წიგნის მიმართ სანდოობის ხარისხს. შეხვედრის დასასრულს, მკითხველს მიეცა შესაძლებლობა ფასდაკლებით შეეძინა წიგნები, მათ შორის გელა ჩარკვიანის "ნაგერალა " და "ნაცნობ ქიმერათა ფერხული" და მწერლისგან ავტოგრაფი და მასთან შეხვედრის ბედნიერება მიეღო.

თ. ჯავახიშვილი

იდეები, რომელსაც ბავშვები ქალაქის შემდგომი განვითარებისათვის გვთავაზობენ

9 ივნისს, მე-8-ე საჯარო სკოლაში, „იდეებისა და გადაწყვეტილებების ლაბორატორიამ" დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა რამდენიმე ბიზნეს და სოციალური პროექტი, რომელიც ქალაქის განვითარების საქმეში ერთგვარი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

ზემოაღნიშნულ შეხვედრას წინ უძღვოდა პატარა ისტორია, რომელიც საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისთვისაც. ცოლ-ქმარმა გიორგი და მაია მაქაცარიებმა სოფელ ცხრამუხაში შეიძინეს კარ-მიდამო და სწორედ აქვე გაიცნეს მე-8-ე საჯარო სკოლის პედაგოგი მაია გუდაძე, რომელმაც ცოლ-ქმარს გააცნო სკოლის პრობლემები. ცოლ-ქმარიც ეწვია სკოლას და მას შემდეგ იწყება უდიდესი მეგობრობა და უანგარო დახმარება, რაც გიორგი მაქაცარიამ და მისმა მეუღლემ სკოლისთვის გასწიეს. დაახლოებით ორი წელია, ყოველ უქმეებზე, ჩამოდისან მეუღლეები, სპეციალურად მოსწავლეებისათვის და უფასო ლექციებს უტარებს მათ. ბატონი გიორგი თატრალური უნივერსიტეტის ლექტორია მარკეტინგულ კომუნიკაციებში, შესაბამისად, ბავშვებს ცოდნას აწვდის ბიზნესისა და მარკეტინგის კუთხით, ხოლო მისი მეუღლე ხელოვნების დარგს აზიარებს მოსწავლეებს. გიორგი მაქაცარიამ შექმნა აიპი „იდეებისა და გადაწყვეტილებების ლაბორატორია", სადაც გააერთიანა ნიჭიერი, მონდომებული და კრეატიული იდეებით დახუნძლული ახალგაზრდები და სწორედ მათი საინტერესო ბიზნეს პროექტები იყო წარმოდგენილი ამ შეხვედრაზე. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ გიორგი და მაია მაქაცარიების მცდელობით 20 ბავშვი, ყოველ თვე, მიემგზავრებოდა თბილისში, ამერიკის საელჩოში, სადაც საელჩოს თანამშრომლის ვიკტორია ეკინსის ხელმძღვანელობით ბავშვები მუშაობდნენ სოციალური მეწარმეობის ლაბორატორიაში, რამოდენიმე მათგანმა სერთიფიკატებიც მოიპოვა საუკეთესო ბიზნეს-იდეებისათვის. ვიზიტები იყო ასევე პოლონეთშიც პოლონურ-ქართულ ლიდერთა აკადემიაში.

გიორგი მაქაცარია: ძალიან ნიჭიერი და კრეატიული ბავშვები არიან. ვფიქრობ, საინტერესო გამოცდილება მიიღეს ბავშვებმა. მარკეტინგული კომუნიკაციების ლექციები ბავშვებს, ადრეული ასაკშივე, დაეხმარა საზოგადოებაში საკუთარი ადგილის პოვნაში, ანალიტიკური უნარის გამომუშავებაში, სიტუაციური გარემოს კვლევაში. ბავშვებმა ადვილად აუღეს ალღო ლექციებს და თავისი იდეები პროექტებად აქციეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსწავლეებმა წარმოადგინეს 2 სოციალური და 3 ბიზნეს-პროექტი. პირველი სოციალური პროექტი იყო მარიამ ძინძიბაძის მიერ მომზადებული, შემდეგი სახელწოდებით: „ქართულ საზოგადოებაში ხაშურსა და ხაშურელებზე უარყოფითი იმიჯის კორექცია". პროექტის მიზანია ახალი სიცოცხლე შევძინოთ საზოგადოებას და უფრო მეტად რენტაბელური გავხადოთ. საუბარი იყო ასევე რამდენიმე ინფრასტრუქტურულ აქტივობაზე, მაგალითად: გზის მოკირწყვლა ქალაქში ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქალაქის გამწვანებაზე, დაბრუნდეს ისევ სახალხო შაბათობების გამართვის წესი და ა.შ.

მეორე პროექტი იყო მარიამ ბუაძის ანტი-კაფე, რომელიც თავისი არსით იქნება ურთიერთობების სივრცე, „მოლაპარაკებების ადგილი", სადაც კრეატიულ ადამიანები საკუთარი იდეების გენერირებას მოახდენენ საინტერესო გარემოში. ანტიკაფე გაჯერებული მსუბუქი გასტრონომიით, ცხელი, გამაგრილებელი თუ დამათრობელი სასმელებით, ჯაზის, ბლუზის, რიტმენბლუზის კომპოზიციებით ნამდვილი სამოთხე შეიძლება გახდეს.

ნინო ძინძიბაძემ წარმოადგინა „რეკრეაციული პარკის" პროექტი, რომლის მოწყობის ადგილად ყველაზე ხელსაყრელი ზემო სერის ტერიტორია აირჩია, სადაც ადრე უკვე იყო დასასვენებელი პარკი. ეს პარკი მათთვის იქნება, ვისაც სურს გართობა, საუბარი, უბრალოდ მინდორზე წამოწოლა და წიგნის კითხვა. დაიგეგმება ველოზონისა და სკეიტ-პარკის მოწყობა.

(დასასრული VI გვერდზე)

არ გამომაღვიძოთ, გევედრებით, მე თვითონ არ მჯერა, მაგრამ ნირვანაში ყოფნა, ეტყობა, ესაა...

ეს რა ივნისი დადგა ჩვენთვის, საოცარი, არნახული და უმშვენიერესი... უკვე წარმოუდგენლადაც კი მეჩვენებოდა, რომ პოლიტიკურად ანგაჟირებულ მთელ ერს ოდესმე, ერთი წუთით მაინც თუ შეეძლო პოლიტიკის დავიწყება და რაიმე სხვა თემაზე გადართვა. შეძლებია! შეგვაძლებინეს! და ვინ? საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმა. დედა,რა იყო ეს? აგერ,იმ შორეული 1981 წლის შემდეგ, 35 წელი გავიდა და მსგავსი სიხარული მთელ ერს „დვესტიდვაცატივით“ რომ დაუარა ტანში, ჯერ არ გვრგებია. ბოლო ათ წელიწადში მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონი ესპანეთის ნაკრები მხოლოდ ერთხელ დამარცხდა საკუთარ სახლში და ისიც გერმანიის ნაკრებთან. ახლა კი აგერ, ამ პაწაწკუნტელა საქართველომ არ მოუთავა ხელი? რავარი დასაჯერებელია, მაგრამ ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ! ამ შუა ესპანეთში, ამ ხუთ და ათმილიონხელფასიან ვარსკვლავებს 350 ლარიანხელფასიან ბიჭებმა სულ ადესის ძმარი ადინეს ცხვირში. ხან აქედან შემოგვიარეს, ხან იქიდან, მაგრამ „კარ ვერ ამტვრიეს ძალადა“. ჩვენებმა კი წაიღეს და ისეთი ბუთქეს იმათ კარებს პიკე, რამოსი, ინიესტა და ძმანი მათნი, ვეჭვობ, ევროპის ჩემპიონატზეც გონდაკარგულები იქნებიან. ვივა, ჩვენს ბიჭებს, ვივა, საქართველოს! აქ გავრჩერდები, თორემ ისეთი აჟიტირებული ვარ სიხარულისგან, დაუსრულებლად შემიძლია ვწერო და ეგებ სხვა თემები გადამავიწყდეს.

სხვა თემები კი ისევ ფეხბურთს ეხება. ეტყობა, ივნისის პირველ დეკადას რაღაც მაგიური აქვს და ზღვა გამარჯვებების სიხარული მოაქვს. ზოგს, შეიძლება, ჩვენი „ევერია“, ლამის ასწლიანი ტრადიციების მქონე გუნდი, დაავიწყდა კიდეც, მაგრამ არა, „ევერია“ ფეხზე დგას და აგერ, ისეთი სიურპრიზი შემოგვთავაზა, შენი მოწონებული. ჯერ საქართველოს ჩემპიონატის მეორე ლიგაში ნაჩვენები მეხუთე ადგილიც არაა ურიგო შედეგი, თუმცა, მთავარი სულ სხვაა – ამ ლიგის თასზე ჩვენები ფინალში გავიდნენ და 16 ივნისს, თბილისში, თასისთვის იბრძოლებენ. ვინც მათი ნახევარფინალური მატჩი ნახა დუშეთის გუნდთან (2:0), დაგვეთანხმება, რომ ბიჭები ისეთი ანთებული და მონდომებულები არიან, უბრძოლველად არაფერს დათმობენ და ამდენწლიანი პაუზის შემდეგ, ვინძლო, პირველი დიდი სიხარული გვარგუნონ. „ევერიას“ მუდამ ჰყავდა თავის ერთგული და გამორჩეული გულშემატკივარი, გადავსებული სტადიონიც ბევრს გვახსოვს. ჰოდა, ძველ გულშემატკივრებს და ახლებსაც, მათაც, ვისაც უყვარს ჩვენი ქალაქი და აქაურობა, თუნდაც ფეხბურთთან შეხებაც არ ჰქონდეთ, დავირაზმოთ ერთად და გვერდში დავუდგეთ „ევერიას“. გულშემატკივარი ხომ მეთორმეტე მოთამაშედ ითვლება და ვიქცეთ ჩვენც მეთორმეტედ. ის თასი კი, თუ გავიმარჯვეთ, მარტო გუნდის არ იქნება, ის თასი მთელი ხაშურის, მთელი რაიონის იქნება! მინდა, დავიჯერო, რომ ასეც იქნება და 16-ში, თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ერთად დავაგუგუნებთ „ევერია, ევერია, ყველა გუნდზე ძლიერია!“

...ჯერ ამით არ დამთავრებულა მაგიური ივნისის პირველი დეკადის სიურპრიზები. დიდმა ევერიელებმა ხომ გვასახელეს, პატარა ევერიელებმაც საოცრებები აკეთეს. ახლახანს, თბილისში, ნოდარ ახალკაცის სახელობის საერთაშორისო ტურნირში ხაშურის სასპორტო სკოლის ორი გუნდი მონაწილეობდა – 2005 და 2007 წლებში დაბადებულები. ჯერ 2007 წლებში დაბადებულებზე ვთქვათ (მწვრთნელები მევლუდ ლომიძე, ვახტანგ ჯაფარაშვილი)): მათ ჯგუფში ერთი შეხვედრა დათმეს საბურთალოს აკადემიასთან, ლანჩხუთის „გურიას“ და თბილისის „ავაზას“ კი, შესაბამისად, 3:0 და 2:0 მოუგეს. მეოთხედფინალში ვლადიკავკაზის „ალანიას“ გასცდნენ (2:0) და მხოლოდ ნახევარფინალური მატჩი დათმეს საბურთალოს აკადემიასთან. თუმცა, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში საბურთალოს სკოლა 3:1 დაამარცხეს და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. 2005 წლებში დაბადებულებმა კი უფრო დიდი სენსაცია გამოაცხვეს და ფინალში ისე გავიდნენ, რომ საკუთარ კარში მხოლოდ ერთი ბურთი მიიღეს. მწვრთნელების გიორგი ჩადუნელისა და ლევან ლომიძის დამოძღვრილმა პატარებმა ჯგუფში ლანჩხუთის „გურია“, საბურთალოს „აკადემია“ და ზუგდიდის „ბაია“ ჩამოიტოვეს (2:0,1:0, 0:0), მეოთხედფინალში ბათუმის „დინამო“ დაამწუხრეს (2:1), ნახევარფინალში ვლადიკავკაზის „ალანიას“ მოუგეს (1:0) და მხოლოდ ფინალში, ისიც პენალტების სერიაში დათმეს შეხვედრა.

ასეთ მსხვილ საერთაშორისო ტურნირზე მეორე და მესამე ადგილები ხაშურის გუნდებისთვის მართლაც უდიდესი წარმატებაა. უნდა გენახათ, ცნობილი და მსხვილი ფინანსური რესურსებით აღჭურვილი აკადემიები, თავდაპირველად აინუშშიც არ აგდებდნენ ჩვენს პატარებს, შემდეგ კი ლოცულობდნენ, რომ მათ არ შეხვედროდნენ ფინალამდე. ბრავო პატარა ევერიელებს! მადლობა კიდევ ერთხელ მათ მწვრთნელებს, ბატონებს გიორგი ჩადუნელს, ლევან ლომიძეს, მევლუდ ლომიძს, ვახტანგ ჯაფარაშვილს, რომლებმაც მართლაც შეუძლებელი შესძლეს და ასეთი შედეგი დადეს და მადლობა მუნიციპალიტეტის გამგეობას, რომელმაც ფინანსურად უზრუნველყო პატარების ასეთ ტურნირში მონაწილეობა.

აი, ასეთი სიურპრიზი დადო ივნისის პირველმა დეკადამ და რა გასაკვირია, რომ თავი მართლაც სიზმარში მგონია, ისეთ სიზმარში, გამოღვიძება რომ არ გინდა.

გ. გოგოლაძე

იდეები, რომელსაც ბავშვები ქალაქის შემდგომი განვითარებისათვის გვთავაზობენ

(დასასრული)

პროექტზე მუშაობის პერიოდში 4 მოხალისემ, ერთი საათის განმავლობაში, გამოკითხა რესპოდენტები და მათმა 100% ისურვა ასეთი პარკის არსებობა ჩვენს ქალაქში.

საინტერესო ბიზნეს პროექტი შემოგვთავაზა მანანა ხიჩაკაძემაც. ეს არის კემპინგ- ფესტივალი სახელწოდებით: „ტიტანთა საუფლოში”. კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის სასურველია დაარსდეს და წახალისდეს ხაშურის რაიონში, კოდიწყაროს ტბაზე, საზაფხულო მუდმივად მოქმედი ფესტივალი, რომლის საკვანძო თემა გახდება ამირანის ეპოსი. პროექტი ხელს შეუწყობს ახალი ტურისტული ზონის აღორძინებას. ტურისტებისათვის მოეწყობა თეატრალური დადგმები, ფოლკლორული კონცერტები. ტურები იქნება ინტელექტუალურ-გასართობიც და სპორტულ-შემეცნებითიც.

ნინო გიორგაძის ბიზნეს პროექტი საჩვენებელ მეურნეობასა და მეფუტკრეობაზე საინტერესო იქნებოდა აგრარულ სფეროთი დაინტერესებული ადამიანებისთვის. ნინომ დასახა გზები თუ როგორ უნდა გაზარდოს ფერმერმა მოსავლიანობა შედარებით მცირე ნაკვეთზე. რაც შეეხება მეფუტკრეობას, თითოეულ ოჯახს, ნებისმიერ რეგიონში შეუძლია იყოლიოს 20-მდე ფუტკრის ოჯახი. მას შემდეგ, რაც შეისწავლის ფუტკრის მოვლის სპეციფიკას, შეუძლია ბიზნესიც გააფართოვოს.

შეხვედრაზე იმყოფებოდა ცხრამუხის დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატი პავლე ლაცაბიძე: ძალიან კარგი ბიზნეს-პროექტები იყო. საოცრად მონდომებული, ენთუზიასტი ბავშვები იყვნენ და ჩვენც, ჩვენის მხრივ, ხელი უნდა შევუწყოთ მათ, რომ არამარტო პროექტი დაწერონ, არამედ განახორციელონ კიდეც. მე პირადად მომეწონა კოდიწყაროს პროექტი, რომელიც უშუალოდ ჩვენს რაიონზეა მორგებული. შეგვიძლია დავიწყოთ ეტაპობრივად, გაკეთდეს მოსასვენებელი ადგილები, მაგიდები, საფეხმავლო ბილიკები და მომავლში შესაძლებელი გავხადოთ, სწორედ ამ ადგილიდან დაიგეგმოს ტურები სხვადასხვა მიმართულებით. კარგი იქნება, თუკი ამ ბავშვებს შევახვედრებთ ბიზნესმენებს, რათა მოუსმინონ მათ იდეებს და ფინანსების მობილიზება მოახდინონ თავისი რაიონის სასიკეთოდ.

შეხვედრას ესწრებოდნენ ვიკტორია ეკინსი და ამერიკის საელჩოს პრეს-ატაშე დენიელ ჰასტინგსი: „ძალიან დიდი მადლობა ამ მოსწავლეებს ასეთი საინტერესო იდეების მოწოდებისათვის. მინდა გითხრათ, რომ ხაშური არის ძალიან მდიდარი ქალაქი, და თქვენი საგანძური დგას დღეს ამ სცენაზე, ამ ბავშვების სახით. ასე, რომ ყველაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ ამ ბავშვებმა ქალაქი არ დატოვონ და თავისი იდეები თავისი ქალაქის სასიკეთოდ მომართონ.”

თ. ახალაია

D

ხათუნა ცერცვაძის ხსოვნას

ნაადრევად ჩაიფერფლა შენი ლამაზი სიცოცხლე, ჩვენო ხათუნა. მძიმე, განუკურნებელი ავადმყოფობის შემდეგ მარადიულ სოფელში გადასახლდა შენი უკვდავი სული. ამქვეყნად კი დაგვრჩა მხოლოდ მოგონებები, მოგონებები ჩვენი მუშაობის ათეული წლების განმავლობაში ერთად გატარებული ლამაზი დღეებისა.

წახვედი და დაგვიტოვე უშენობის დიდი ტკივილი. სიკვდილი მარცხდება მაშინ, როცა განსვენებულს გამხსენებლები ჰყავს. შენი კი ბევრი გამხსენებელი დაგრჩა. მუდამ სიყვარულით, ცრემლიან ლამაზ ყვითელ ყვავილებს დაგიფენთ საფლავზე. ვილოცებთ, რომ უფალმა სიმშვიდე დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველში.

სურამის IX საბავშვო ბაღის თანამშრომლები

შვილები ზაური, ვალერი ოჯახებით, ძმები თემური, ავთო და ცაცო ლომიძეები ოჯახებით, შვილიშვილები, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლამარა ილიას ასული ლომიძე D

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაგრძნობას უცხადებს ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატს ვალერი გელაშვილს დედის

ლამარას გარდაცვალების გამო

ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატის საპარლამენტო ბიურო თანაუგრძნობს ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატს ვალერი გელაშვილს დედის

ლამარას გარდაცვალების გამო D

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატს ვალერი გელაშვილს დედის

ლამარას გარდაცვალების გამო.

გაზეთის “ხაშურის მოამბე” რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატს ვალერი გელაშვილს დედის

ლამარას გარდაცვალების გამო

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.